კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა
I ტური
მე-6 კლასი

სავარჯიშო I. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (60 ქულა)

1. რამდენი ბრუნებადი სიტყვაა გამოყენებული წინადადებაში: „დედამიწა ზრუნავს ხეთა ფესვებზე.“
   ა) ორი ბ) სამი გ) ხუთი
2. რამდენი ბრუნებადი სიტყვაა წინადადებაში: „იქნებ გიჟმაჟმა მდინარემ გაგვრიყოს სადმე უდაბურს ადგილას...“
   ა) სამი ბ) ოთხი გ) ხუთი
3. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული შესიტყვება წინადადებაში: „იქნებ გიჟმაჟმა მდინარემ გაგვრიყოს სადმე უდაბურს ადგილას...“
   ა) სახელობითში ბ) მიცემითში გ) ნათესაობითში
4. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში: „ჩვენც ამითი მოგვწონდა თავი, რომ ლამაზი, გულშეუდრეკელი, ამაყი შვილი გავზარდეთ...“
   ა) სახელობითში ბ) მოთხრობითში გ) მიცემითში
5. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული ნაცვალსახელი წინადადებაში: „ჩემმა გულკეთილობამ ბევრი მეგობარი შემძინა.“
   ა) მოთხრობითში ბ) ვითარებითში გ) მოქმედებითში
6. რომელია ხაზგასმული სიტყვის სინონიმი: „ლაარაკ-ლაპარაკით გავუყევით სახლისკენ მიმავალ ბილიკს.“
   ა) ბაასი ბ) გალობა გ) სირბილი
7. რომელია ხაზგასმული სიტყვის სინონიმი: „ჰაპამ მასწავლა ასამდე თვლა და რამდენიმე ლექსი.“
   ა) ვაჟი ბ) ბაბუა გ) ნათესავი
8. რომელი არ არის ხაზგასმული სიტყვის სინონიმი: „ალიონზე წამოხტა, შვილიშვილებს ცეცხლი უნდა დავუნთოო.“
   ა) ცისკარი ბ) შუაღამე გ) სისხამ დილით
9. რომელია ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი: „გონიერი ყმაწვილია, უცებ მოიფიქრა, როგორ უშველოს სკვინჩას.“
   ა) მსუქანი ბ) ფუმფულა გ) უგუნური
10. რომელი არ არის ხაზგასმული სიტყვის სინონიმი: „დათვი მშვიდია, ხომ ხედავ?“
    ა) აუღელვებელი ბ) წყნარი გ) ავი
11. ზმნა არის :
    ა) ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილი.
    ბ) ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილი.
    გ) დამხმარე მეტყველების ნაწილი.
12. რადენპირიანია ზმნა ,,ჩაუწერა“:
    ა) ერთი ბ) ორი გ) სამი
13. რომელი დროის ზმნაა გამოყენებული წინადადებაში: „ის ღელე თითქოს ტაწზე მდიოდა.“
    ა) ახლანდელი ბ) წარსული გ) მომავალი
14. რომელი დროის ზმნაა გამოყენებული წინადადებაში: ,,დავგრეხ თოკსა და ბაწარსა, ჩავუგდებ და ამოვიყვან ჩემს ძმობილ წიანჭველასა.“
    ა) ახლანდელი ბ) წარსული გ) მომავალი
15. რომელია ზმნისწინიანი ზმნა?
    ა) წერს ბ) ზის გ) ჩაუქროლა
16. რომელია უზმნისწინო ზმნა?
    ა) წაიმღერა ბ) მიმოიხედა გ) უხარია
17. რომელ წინადადებაში გვხვდება რიცხვში მონაცვლე ზმნა?
    ა) ,, მის გულისთვის დღე და ღამე გასწორებული გვქონდა.“
    ბ) ,, ყველას დედაა, ყველასთვის ის ზრუნავს, ყველა იმის ზურგსა ჰკიდია.“
    გ) ,, საშინელი ხმა გაისმა თუ არა, ქედანი მაშინვე ჩამოვარდა.“
18. რომელი არ არის რიცხვში მონაცვლე ზმნა?
    ა) ყრია ბ) უყვარს გ) ზის

19. რომელია მართებული?
    ა) ბუნების ძილის უკანასკნელი წუთებია.
    ბ) გაიშრიალებს ფოთოლი და მიჩუმდებიან.
    გ) წამოიძახებს ჩიტი და მიყუჩდებიან.
20. რომელი არაა მართებული?
    ა) ღრუბელი შეფერადდება და ისევ ჩაიბურება.
    ბ) ამ დილის ნისლში გამოირკვა ფეხაკრეფით მიმავალი ორი მონადირე.
    გ) მაგრამ ირემა ერთი მოიხედა უკან, მოიკუმშა, ისკუპა და გაქრა.

სავარჯიშო II. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (30 ქულა)

21. რამდენგვარია წინადადება შინაარსის მიხედვით?
    ა) სამგვარი ბ) ხუთგვარი გ) შვიდგვარი
22. მარტივ წინადადებაში არის:
    ა) ერთი ზმნა ბ) ორი ზმნა გ) ორზე მეტი ზმნა
23. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა? „ნაპრალიდან გამოვიდა <u>ირემი</u>.“
    ა) შემასმენელი ბ) ქვემდებარე გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი
24. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა? „წყრომით <u>მივარდა</u> მეგობარი მონადირეს.“
    ა) შემასმენელი ბ) ქვემდებარე გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი
25. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვები?
    „ირემი ისეთის ნდობით <u>მოვიდა</u> ჩემთან, ისრებივით წვრილ ფეხებზე ისე მსუბუქად <u>იდგა</u>.“
    ა) შემასმენელი ბ) ქვემდებარე გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი
26. რომელი არ არის სწორად დაწერილი თანდებულიანი სახელი?
    ა) ქიშმიშში ბ) საათთან გ) ვაზე
27. რომელ ბრუნვაშია თანდებულიანი სახელი წინადადებაში: „მთებთან ახლოს პაწაწინა რუ მოედინება...“
    ა) სახელობითში ბ) მიცემითში გ) ნათესაობითში
28. რომელია არასწორად დაწერილი თანდებულიანი სახელი?
    ა) მისთვის ბ) შენს მიერ გ) შენ გამო
29. რომელ ბრუნვაშია თანდებულიანი სახელი წინადადებაში: ,,ილიასთვის ყველაზე მთავარი სამშობლო იყო.“
    ა) სახელობითში ბ) ნათესაობითში გ) ვითარებითში
30. რომელია სწორად დაწერილი წინადადება?
    ა) სასახლიდან კვამლი ამოდიოდა.
    ბ) თიხიდან ქოთნების დამზადება პაპამ მასწავლა.
    გ) შეშა ყოველთვის ტყისგან მოგვაქვს.

სავარჯიშო III. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (10 ქულა)

31. რომელია მართებული მსჯელობა?
    ა) ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა.
    ბ) ქართულ ენას არცერთი დიალექტი არ აქვს.
    გ) ქართულ ენაში ბგერებისა და ასოების რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა.
32. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა: ,, _____ კუთხურ მეტყველებას ეწოდება.“
    ა) ბარბარიზმი ბ) დიალექტი გ) ჟარგონი
33. დაასრულეთ წინადადება: ,,ქართლური, მესხური, ფერეიდნული, აჭარული _____ .
    ა) არქაიზმებია ბ) ქართული ენის დიალექტებია გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი
34. შეცვალეთ ხაზგასმული სიტყვა: ,,გიორგის არ *<u>მოუხედია</u>* ჩვენკენ, აედევნა ბებოს.“
    ა) მოუხედავს ბ) მოიხედავს გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი
35. რომელია არ არის კუთხური მეტყველების ნიმუში?
    ა) გინდებიან ბ) ამეიკვიატებს გ) გადაულაპარაკე